ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 16 ივნისის ბიუროს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 07 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 16 ივნისის მორიგი სხდომის

ო ქ მ ი N9

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15 16 ივნისი 2025 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - მანანა ბარბაქაძე საკრებულოს თავმჯდომარე,

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

დავით კიკნაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ამირან ოქრომჭედლიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

პაატა გოგოლაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

შმაგი ხიჯაკაძე საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ბესიკ კვირიკაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარი ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

პავლე კიკალიშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

მარინე ხვედელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

სათათბირო ხმის უფლებით უშანგი ბერაძე ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ - ს თავმჯდომარის მოადგილე.

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ნანა კიკნაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ანა ნიქაბაძე ა.(ა)ი. პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“-ს ჟურნალისტი,

მაკა ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ლაურა გოგოლაძე გაზეთ ჩემი ხარაგაულის რედაქტორი

სულიკო გლუნჩაძე ოპერატორი

საკრებულოს აპარატი:

ლენა კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 07 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ნანა კიკნაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი,

მომხრე 9,

წინააღმდეგი.

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფრისის ნანა კიკნაძის ანგარიში სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

აზრი გამოთქვეს:

ამირან ოქრომჭედლიძემ, რომელმაც დააყენა წინადადება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებისათვის, რომლებიც იმყოფებიან დიალეზით მკურნალობის პროგრამაში, დიალეზის მიღების პროცედურები ჩატარდეს ხარაგაულში, რაც დიდი შეღავათი იქნება მოსახლეობისათვის

ნანა კიკნაძემ, მომხსენებელმა უპასუხ, რომ კარგი იქნება გეთანხმებით, მაგრამ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული პროცედურების აქ ჩატარება ვერ გეტყვით, დასაზუსტებელია.

მანანა ბარბაქაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ვარლამ ჭიპაშვილს, მერის პირველ მოადგილეს დაზარალებული მოქალაქეებისათვის საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფისა და პირველი შვილის შეძენის შემთხვევაში თანხის გაზრდის თაობაზე.

მან ასევე მოითხოვა მომხსენებლისაგან საკრებულოს სხდომაზე 07 ივლისს მოვისმინოთ ინფორმაცია ბავშვთა განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებით.

ვარლამ ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ საცხოვრებელი ბინების მშენებლობას ვერ ვახერხებთ, რაც შეეხება პირველ შვილთან დაკავშირებულ საკითხს ვმუშაობთ ამ საკითხზე და უახლოეს დღეებში წარმოგიდგენთ წინადადებებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2025 წლის 07 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე 9

წინააღმდეგი .

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2025 წლის 07 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას

სხდომის თავმჯდომარემ მანანა ბარბაქაძემ ბიუროს წევრებს შეახსენა, რომ მიმდინარე წლის 02 ივნისს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან მოიხსნა საკითი სოციალური დახმარების წესში ცვლილების შეტანის თაობაზე, საბიუჯეტო ცვლილების წარმოუდგენლობის გამო, აღნიშნული საკითხი განსახილველად შევა 07 ივლისის სხდომის დღის წესრიგში

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 07 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის)

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**